



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა
COVID-19-ის პანდემიით გამომწვეული
ეკონომიკური კრიზისის პირობებში

ვლადიმერ ჰავევა
ვასტანგ ჭარანია

152

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა
ვახტანგ ჭარბია

საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა
COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული
ეკონომიკური კრიზისის პირობებში

152

2021



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

COVID-19-ის პანდემიამ და მისგან გამონეულმა გლობალურ-მა ეკონომიკურმა კრიზისმა¹ მსოფლიოს წინაშე არაერთი მწვავე პრობლემა დააყენა. ამ ეკონომიკურ კრიზისს შემდეგში ასევე მოვიხსენიებთ ტერმინით „კორონომიკური კრიზისი“², რომელიც მიიღება „კორონომიკსის“ საფუძველზე. ეს უკანასკნელი კი შეიქმნა კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკაზე ზეგავლენის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების მიზნით და მიიღება ორი ტერმინის – „კორონა“ („Corona“) და „ეკონომიკსის“ („Economics“) გაერთიანებით³.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც კორონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა, არის ქვეყნების სახელმწიფო ვალის (რომელიც საშინაო და საგარეო ვალების ჯამია) სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდა. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი სტანდარტულად იყოფა რამდენიმე კომპონენტად: სამთავრობო, ცენტრალური ბანკის, კომერციული ბანკების, კომპანიათა სესხები და სხვა სექტორი.

ტრადიციული კითხვაა: უნდა უფროსოდნენ თუ არა ცალკეული ქვეყნები სახელმწიფო ვალის ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ სესხის პროცენტი შესაძლოა არცთუ ისე ძვირი იყოს? სტანდარტულ შემთხვევაში პასუხი დადებითია⁴, თუმცა, ცალკეული საკითხები აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას. ასე, მაგალითად, სახელმწიფო ვალის აპრობირებული მაჩვენებელი – მისი თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან (GDP)⁵ არ იძლევა ცალკეული ქვეყნების შედარების საშუალებას და, მით უმეტეს, ვერ გამოდგება მათი წარმატებისა თუ წარუმატებლობის უტყუარ საზომად. აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების დეტალური ანალიზი, რადგანაც ვალს იღებენ როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ქვეყნებიც, თანაც – როგორც უკიდურესი სირთულეების (მაგალითად, პანდემიის), ასევე ეკონომიკური აღმავლობის დროსაც (მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის).

დიდი მოცულობით სახელმწიფო ვალის დაგროვება ართულებს მისი სტაბილური მომსახურების შესაძლებლობას, რაც სხვა, თანაბარ პირობებში შეიძლება საბანკო კრიზისში გადაიზარდოს⁶. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება წარმოების მოცულობაზე⁷. საყურადღებოა, რომ განვითარებულ ქვეყნებს დაბალი საპ-

როცენტო განაკვეთების გათვალისწინებით შეუძლიათ უფრო დიდი რაოდენობით სახელმწიფო ვალის აღება⁸. იმავდროულად, თანამედროვე მონეტარული თეორიის მიმდევრების თანახმად, სახელმწიფო ვალის ზრდა საერთოდ არ არის საფრთხის შემცველი⁹, თუმცა ეს თეორია ყურადღების მიღმა ტოვებს არაერთ პრობლემას, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ფულის მასის ზრდით გამონვეულ ინფლაციის დონის არასასურველი მატება¹⁰.

მსოფლიო გამოცდილება

მართალია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე სისტემის ცალკეულმა პრობლემამ საკმაოდ დიდი ხნის წინ იჩინა თავი¹¹, მაგრამ COVID-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიოს ეკონომიკა პრაქტიკულად თავდაყირა დააყენა¹². კორონომიკური კრიზისის ფონზე, თითქმის ყველა ქვეყანაში არაერთგზის მოხდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის მოდიფიცირება, ისე გადაიხედა ფისკალური და მონეტარული მართვის საკითხები, გაიზარდა საგარეო და საშინაო ვალი¹³. ფაქტია, რომ 2020 წელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ ვარდნას, თუმცა ყველაზე მეტად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები დაზარალდებიან¹⁴.

გლობალურმა კორონომიკურმა კრიზისმა არა მარტო მსოფლიო ეკონომიკის ვარდნა გამოიწვია, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ჯამურმა ვალმაც უპრეცედენტო ზომებს მიაღწია¹⁵.

COVID-19-ის პანდემიამდე სახელმწიფოების პრიორიტეტები მეტ-ნაკლებად სტანდარტული ხასიათისა იყო და სახელმწიფო ვალი უმთავრესად ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის გამოიყენებოდა, პანდემიის პირობებში კი უალტერნატივო პრიორიტეტად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდაჭერა იქცა. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ კორონომიკური კრიზისი არ იქნება დაძლეული, სანამ მედიცინა ვერ შეძლებს COVID-19-ის პანდემიის დამარცხებას, რის გამოც ამ პანდემიის პირობებში ეკონომიკა მედიცინის მიქველად რჩება¹⁶.

საყურადღებოა, რომ ფინანსური რესურსის რეზერვი მთელ მსოფლიოში, მათ შორის, წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, საკმარისზე მეტიც კი აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, პანდემიის პირველივე დღეებიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სრული

მზაობა გამოაცხადა დახმარებოდა თავის წევრ 190-ვე ქვეყანას და ამ მიზნისთვის 1 ტრილიონი აშშ დოლარის მობილიზება მოახდინა.¹⁷ 2020 წლის მარტიდან ოქტომბრამდე, მოცემული არხით, მსოფლიოს ათეულობით ქვეყანამ, ჯამში, 101 მილიარდი აშშ დოლარის სასესხო დახმარება მიიღო¹⁸.

აშკარაა, რომ მსგავსი მასშტაბის საგარეო ვალმა მომდევნო წლებში განვითარებადი ქვეყნები შესაძლოა უფრო დიდი ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქციოს, რაც გამონვეული იქნება იმით, რომ ამ ვალის საგადასახადო შემოსავლებთან პროპორცია არსებითად გაუარესდება, რადგან მნიშვნელოვნად გაართულდება გაზრდილი სახელმწიფო ვალის მომსახურება¹⁹. სწორედ ამიტომ დიდი ოცეულის ქვეყნების დღის წესრიგში უკვე დადგა ვალის რესტრუქტურირების ახალი გლობალური სისტემის შექმნის აუცილებლობა²⁰. საყურადღებოა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სკეპტიციზმიც ფიქსირდება²¹.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო ვალი არა მარტო საერთაშორისოდ აღიარებულ GDP-ის 60%-იან ზღვარს, არამედ თავად GDP-ისაც აღემატებოდა²². კერძოდ, 2019 წლის დეკემბრისთვის იაპონიის სახელმწიფო ვალმა GDP-ის 237% შეადგინა, საბერძნეთის – 177%, ლიბანის – 151%, იტალიის – 135%, სინგაპურის – 126%, აშშ-ის – 107% და ა.შ.²³

COVID-19-ის პანდემიის და მისით განპირობებული კორონომიკური კრიზისის შედეგად, მსოფლიოში, როგორც არასდროს, გაიზარდა სახელმწიფო ვალის ოდენობა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო²⁴. კერძოდ, კორონომიკური კრიზისის პირობებში იმ ქვეყნების რიცხვმა, რომელთა სახელმწიფო ვალმა მათივე GDP-ის მოცულობას გადააჭარბა, უკვე 30-ს მიაღწია (ცხრილი 1)²⁵.

**ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო ვალის თანაფარდობა GDP-სთან
2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით
(პროცენტებში)**

ქვეყანა	სახელმწიფო ვალის თანაფარდობა GDP-სთან	ქვეყანა	სახელმწიფო ვალის თანაფარდობა GDP-სთან	ქვეყანა	სახელმწიფო ვალის თანაფარდობა GDP-სთან
იაპონია	266	ბარბადოსი	134	საფრანგეთი	119
სუდანი	259	სინგაპური	131	კვიპროსი	118
საბერძნეთი	205	აშშ	131	მალდივები	118
ერიტრეა	186	ბაჰრეინი	127	ბელგია	118
ლიბანი	172	არუბა	127	კანადა	115
იტალია	162	ესპანეთი	123	ანტიგუა	114
სურინამი	145	მოზამბიკი	121	დიდი ბრიტანეთი	108
პორტუგალია	137	ბუტანი	121	კონგო	105
კაბო-ვერდე	137	ანგოლა	120	ბრაზილია	101
ბელიზი	135	ზამბია	120	იამაიკა	101

საყურადღებოა, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ფისკალური ხარჯები მსოფლიოში ტრილიონ აშშ დოლარს ასცდა, ხოლო სამომავლოდ, მოსალოდნელი ეკონომიკური სტიმულირების პაკეტების გათვალისწინებით, მსოფლიოს ერთობლივი სახელმწიფო ვალი, GDP-სთან მიმართებით, 2019 წლის 83%-დან 2020 წელს 100%-ს გადააჭარბებს და ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, 2025 წლამდე შენარჩუნდება²⁶.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკური ვარდნის მაქსიმალურად შემცირება და ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება. რომ არა სახელმწიფო ვალის აღების შესაძლებლობა, 2020 წელს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას, სავარაუდოდ, ბევრად უფრო შთამბეჭდავი ეკონომიკური ვარდნა ექნებოდა. უფრო მეტიც, ითვლება, რომ აღებული ვალების დიდმა წილმა 2021 წელს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გაყვანა უნდა უზრუნველყოს (ცხრილი 2)²⁷.

ცხრილი 2


ეკონომიკური ზრდა მსოფლიოში 2019-2021 წლებში

წლები	მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა	განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა	გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა
2019	2,8	1,7	3,7
2020	-4,4	-5,8	-3,3
2021	5,2	3,9	6,0

საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდა კორონომიკური კრიზისის პირობებში

საქართველოსთან მიმართებით სახელმწიფო ვალის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა მიეკუთვნება სამუალოზე დაბალი შემოსავლის (Lower Middle Income) ქვეყანათა ჯგუფს²⁸, რის გამოც ის საგარეო ვალის მომსახურებას შეღავათიანი პირობებით ახორციელებს. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული, სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში საგარეო ვალი უფრო მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი. კერძოდ, 2010-2019 წლებში საგარეო ვალის წილი სახელმწიფო ვალში მერყეობდა 79%-დან 85%-მდე ინტერვალში. ამ მონაცემებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო ვალის და მისი ამ ორი კომპონენტის თანაფარდობა GDP-სთან დიაგრამაშია მოცემული²⁹.

საქართველოს სახელმწიფო, მთავრობის საშინაო და საგარეო ვალების ნაშთების მოცულობა (მლრდ ლარი) და მათი შეფარდება GDP-სთან 2003-2020 წლებში (პროცენტებში)



სხვადასხვა წელს საქართველოს შესაბამისი მთავრობა იღებდა საგარეო ვალებს. საყურადღებოა, რომ აშშ დოლარში გამოსახული 2012-2020 წლებში ჯამურად აღებული საგარეო ვალის მოცულობა 2,4 მილიარდი აშშ დოლარია და ის ნაკლებია, ვიდრე 2003-2012 წლების ჯამური საგარეო ვალი, რომელიც 2,7 მილიარდს შეადგენდა. ეს სურათი რადიკალურად განსხვავებული ხდება, თუ ამ ვალებს ეროვნულ ვალუტაში გადავიყვანთ. ამას კი ნამდვილად აქვს გარკვეული აზრი, რადგანაც ამ საგარეო ვალების გასასტუმრებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს ფინანსური რესურსის „გამომუშავება“ მხოლოდ ეროვნული ვალუტით შეუძლია, რომელიც შემდგომ უნდა გადახურდადეს უცხოურ ვალუტაში. კერძოდ, 2012 წლის საგარეო ვალი ეროვნულ ვალუტაში 6,6 მილიარდი ლარი იყო, ხოლო 2020 წლის ოქტომბრის მონაცემებით კი – 21.8 მილიარდი (იხ. დიაგრამა). შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტს მნიშვნელოვნად ეზრდება წნეხი საგარეო ვალის გასასტუმრებლად. აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომელიც ეხება 2003-2007 წლებს. კერძოდ, ამ წლებში საქართველოს სახელმწიფოს ვალის GDP-სთან შეფარდების კლება უმთავრესად განპირობებულია თავად GDP-ის ზრდით და ლარის გამყარებით, რაც, თავის მხრივ, „ჰოლანდიური დაავადების“ ქართული ვერსიით იყო გამოწვეული³⁰.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2020 წლის მონაცემებით, საქართველოს მთავრობის ჯამური ვალი 27,7 მილიარდი ლარია, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 38,5%-ით აღემატება და ის ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს. ცნობისთვის, 2020 წლის ბოლომდე, საორიენტაციოდ, სახელმწიფო ვალი კიდევ დაახლოებით 700 მილიონი ლარით უნდა გაიზარდოს, რის შედეგადაც 28,4 მილიონ ლარს მიაღწევს³¹.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გათვლებით, თუ ლარი 2021 წელს 30%-ით გაუფასურდება, მაშინ მთავრობის ვალის GDP-სთან ფარდობის მაჩვენებელი გასცდება ზემოხსენებულ 60%-იან ლიმიტს და 72,1%-ს მიაღწევს³². ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ მთავრობის ვალის თანაფარდობა GDP-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს³³. საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 2022 წლიდან დაიწყებს კლებას და ეს ტენდენცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდება.

2020 წელს საქართველოს საგარეო ვალის ზრდა COVID-19-ის პანდემიითა და მისგან გამონვეული ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული. კერძოდ, 2020 წლის გაზაფხულზე, სწორედ პანდემიით გამონვეული პრობლემების დაძლევის კონტექსტში, საქართველოს მთავრობამ მოახერხა 3 მლრდ აშშ დოლარის საგარეო ვალის მოზიდვის შესაძლებლობის შექმნა, რომლიდანაც ნახევარი უშუალოდ მთავრობამ უნდა ისესხოს, მეორე ნახევარი კი შეუძლია ისესხოს კერძო სექტორმა³⁴. მთავრობას კრედიტორების ნებართვით ეძლევა უფლება მოზიდული თანხა გაზრდილი სოციალური ხარჯების დასაფარად გამოიყენოს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო იძულებული იყო 2020 წელს მოეზიდა დამატებითი საგარეო ვალი, რადგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, მისი ეკონომიკაც არაერთი სირთულის და გამონვევის წინაშე აღმოჩნდა³⁵. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კორონომიკური კრიზისის პირობებში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით ტურშიზი დაზარალდა, ანუ ეკონომიკის სწორედ ის სექტორი, რომლის განვითარების ხელშეწყობაც წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის ამკარად გამოკვეთილი პრიორიტეტი იყო³⁶.

მოზიდული საგარეო ვალი მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს მთავრობას ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებაში³⁷.

საგარეო ვალის გასტუმრების თემა, როგორც ცნობილია, მწვავე სადისკუსიო საკითხთა შორისაა. რაც შეეხება 2020 წელს ქვეყნის გარედან მოზიდულ სახსრებს, გასათვალისწინებელია ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება – კონკრეტულად ვინ არიან საქართველოსთვის სესხის მიმცემი სუბიექტები. ესენი არიან: აზიის განვითარების ბანკი (1,455 მილიარდი ლარი), გერმანიის სახელმწიფო ბანკი KfW (805 მილიონი ლარი), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (603 მილიონი ლარი), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (450 მილიონი ლარი), საფრანგეთის განვითარების ბანკი (439 მილიონი ლარი), მსოფლიო ბანკი (396 მილიონი ლარი) და ევროკავშირი (241 მილიონი ლარი)³⁸.

ამ ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, რომ მსესხებლები არიან ან საერთაშორისო ორგანიზაციები, ან განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბანკები. ამ ინსტიტუციებთან კი, საჭიროების შემთხვევაში, საგარეო ვალის რესტრუქტურისა და მისი მიღწევა, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, უფრო რეალისტურია.

აქვე ხაზგასასმელია, რომ 2020 წელს აღებული საგარეო ვალის მომავალში რესტრუქტურისა და გარკვეული ალბათობით შესაძლებლობა სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს მთავრობამ მაქსიმალური მომჭირნეობით და მაღალი ეფექტიანობით არ განათავსოს ქვეყნის გარედან მოზიდული თანხები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის გასაძლიერებლად, შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და ბიზნესსექტორისთვის შეღავათების გასაწევად. ამისათვის კი აუცილებელია, რომ უმოკლეს ვადებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს მთავრობის ვალის მართვის ახალი სტრატეგია.

მთავრობის ვალის მართვის დღეისათვის მოქმედი სტრატეგია 2019-2021 წლებზეა გათვლილი³⁹. გასათვალისწინებელია, რომ ეს დოკუმენტი მომზადდა 2019 წლის თებერვალში და მასში, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული 2020 წელს დაწყებული პანდემია, მისგან გამონეული კორონომიკური კრიზისი და ამ პანდემიის პირობებში საქართველოსთვის მიცემული საგარეო სესხები, რომლებმაც არსებითად გაზარდეს საქართველოს საგარეო ვალი.

საგარეო ვალის მომსახურების და გასტუმრების შესაძლებლობები უშუალოდ უკავშირდება კორონომიკური კრიზისის დასრულებას, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის წარმატებაზე COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში.

ამ კუთხით იმედისმომცემია კორონავირუსის სანინაღმდეგო რამდენიმე ვაქცინის შექმნა⁴⁰, თუმცა გადასაწყვეტია ამ ვაქცინათა მასობრივი ხელმისაწვდომობის პრობლემა⁴¹ და მოსახლეობის მზაობა, ნებაყოფლობით დათანხმდნენ ვაქცინაციას⁴². რაც შეეხება კორონავირუსის უშუალო სამკურნალო საშუალებების შექმნას, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე დამაიმედებელი ინფორმაცია ჯერჯერობით არ ჩანს.

ყოველივე ეს ართულებს იმის პროგნოზირებას, თუ როდის დასრულდება COVID-19-ის პანდემია, მისგან გამონეუული გლობალური კორონომიკური კრიზისი და მთელ მსოფლიოში დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა. გასათვალისწინებელია, რომ პროგნოზები პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ნაკლებ დამაიმედებელია⁴³.

ამ ვითარებაში გაურკვევლობის დონე საკმაოდ მაღალია, რაც კიდევ უფრო პრიორიტეტულს ხდის საგარეო ვალის რაციონალურ და მიზნობრივად გამართულ გამოყენებას მთავრობის მიერ დამტკიცებული ანტიკრიზისული ღონისძიებების განსახორციელებლად.

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ საფუძველი დაუდო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რომელსაც კორონომიკრ კრიზისსაც ეძახიან. კრიზისი მანამდე არ იქნება დაძლეული, სანამ მედიცინა ვერ შეძლებს COVID-19-ის პანდემის დამარცხებას.

მრავალ პრობლემათა შორის, რომელიც კორონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია, არის ქვეყნების სახელმწიფო ვალის სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდა. ეს პრობლემა საქართველოსთვისაც აქტუალურია.

გლობალური კორონომიკური კრიზისის შედეგად, მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა მსოფლიო ეკონომიკამ. ქვეყნების ეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით მთელ მსოფლიოში საკმაო ოდენობის ფინანსური რესურსი იქნა მოზიდული.

არსებითად გაზრდილი საგარეო ვალი მომდევნო წლებში განვითარებად ქვეყნებს, სავარაუდოდ, დიდი ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქცევს. აქედან გამომდინარე, დიდი ოცეულის ქვეყნებისთვის აქტუალური ხდება ამ ვალის რესტრუქტურისა და ახალი გლობალური სისტემის შექმნის საკითხი.

კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ვალი აღემატებოდა არა მარტო საერთაშორისოდ აღიარებულ GDP-ის 60%-იან ზღვარს, არამედ თავად GDP-ისაც. პანდემიის პირობებში კი იმ ქვეყნების რიცხვმა, რომელთა სახელმწიფო ვალმა მათივე GDP-ის მოცულობას გადააჭარბა, უკვე 30-ს მიაღწია.

2020 წელს ჩამოყალიბებული პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალის უმთავრესი დანიშნულებაა ეკონომიკური ვარდნის შემცირება და ეკონომიკის მდგრადობის მაქსიმალურ დონეზე შენარჩუნება. ამკარაა, რომ ამ თანხების მობილიზების გარეშე 2020 წელს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ბევრად უფრო ღრმა ეკონომიკურ რეცესიას ექნებოდა ადგილი.

საქართველო მიეკუთვნება საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანათა ჯგუფს, რის გამოც ის საგარეო ვალის მომსახურებას შეღავათიანი პირობებით ახორციელებს.

საქართველოს ეკონომიკის სუსტად განვითარების გამო მისი სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში საგარეო ვალი უფრო მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი და ის 2010-2019 წლებში 79%-დან 85%-მდე მერყეობდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გათვლებით, თუ ლარი 2021 წელს 30%-ით გაუფასურდება, მაშინ საქართველოს მთავრობის ვალის GDP-სთან ფარდობის მაჩვენებელი 72,1%-ს მიაღწევს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს „ეკონომიკური თავისუფლებები შესახებ“, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ მთავრობის ვალის თანაფარდობა GDP-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ 2022 წლიდან ამ მაჩვენებელმა დაიწყოს კლება, რაც შემდგომ წლებშიც გაგრძელდება.

2020 წლის გაზაფხულზე COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევისათვის საქართველოს მთავრობამ 3 მლრდ აშშ დოლარის საგარეო ვალი მოიზიდა. ამ თანხის ნახევრის ადრესატი უშუალოდ მთავრობაა, ხოლო ნახევრის – კერძო სექტორი. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა, რათა ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა.

2020 წელს ქვეყნის გარედან მოზიდული საკრედიტო რესურსების წყაროს საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ბანკები წარმოადგენენ. საჭიროების შემთხვევაში, საგარეო ვალის რესტრუქტურის მიღწევა

ამ ინსტიტუციებთან, თუკი ამის აუცილებლობა დადგება, არსებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელია. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა ილონოს, რომ სწორად იქნეს გამოყენებული ქვეყნის გარედან მოზიდული თანხები. ეს კი საჭიროებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უმოკლეს ვადებში შეიმუშაოს მთავრობის ვალის მართვის ახალი სტრატეგია.

შენიშვნები

1. მაგალითად, Baldwin R., di Mauro B. W., eds. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, 2020, <https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8>.
2. Papava V. "Coronomic Crisis: When The Economy Is a Hostage to Medicine." *Eurasia Review*. 2020, March 29, <<https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>>.
3. Alwis A. de. "Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!" *Daily FT*, 2020, February 25, <<http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>>.
4. Badia M., Medas P., Gupta P., Xiang Y. *Debt Is Not Free*. IMF Working Paper WP/20/1. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/WP/2020/English/wpia2020001-print-pdf.ashx>>.
5. პაპავა ვ., სილაგაძე ა. „როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი “Gross Domestic Product““. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 2019, № 7.
6. Asonuma T., Chamon M., Erce A., Sasahara A. *Costs of Sovereign Defaults: Restructuring Strategies, Bank Distress and the Capital Inflow-Credit Channel*. IMF Working Paper WP/19/69. Washington, DC, International Monetary Fund, 2019, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/WP/2019/WPIEA2019069.ashx>>.
7. Cerovic S., Gerling K., Hodge A., Medas P. (2018). *Predicting Fiscal Crises*. IMF Working Paper WP/18/181. Washington, DC, International Monetary Fund, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/WP/2018/wp18181.ashx>>.
8. Blanchard O. *Public Debt and Low Interest Rates*. NBER Working Paper 25621. Cambridge, MA, National Bureau of Economic Research, 2019, <https://www.nber.org/system/files/working_papers/w25621/w25621.pdf>.

9. მაგალითად, Keaveny P. "Modern Monetary Theory: The Rise of Economists Who Say Huge Government Debt Is Not a Problem." *The Conversation*, 2020, July 7, <<https://theconversation.com/modern-monetary-theory-the-rise-of-economists-who-say-huge-government-debt-is-not-a-problem-141495>>.
10. მაგალითად, Rajan R. G. "How Much Debt Is Too Much?" *Project Syndicate*, 2020, November 30, <<https://www.project-syndicate.org/commentary/borrowing-and-spending-limits-in-ultra-low-interest-rate-environment-by-raghuram-rajan-2020-11>>.
11. მაგალითად, Aptsiauri D. *Current Trends in the Development of Modern International Economic Relations and Post-Virus Pandemic Crisis (Covid-19) Challenges*. GFSIS Expert Opinion, No. 139. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2020, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/139-expert-opinion-eng.pdf>>.
12. მაგალითად, Charaia V., Lashkhi M. "Georgia and China: The Economic Ties that Could One Day Bind." *A Sea Change?: China's Role in the Black Sea*. Washington, DC, Middle East Institute, 2020, <<https://mei.edu/sites/default/files/2020-11/A%20Sea%20Change%3F-China%27s%20Role%20in%20the%20Black%20Sea.pdf>>.
13. "Policy Responses to COVID-19. Policy Tracer." *International Monetary Fund*, 2020, <https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19?fbclid=IwAR3iGLO_Inwo7mawz-Yl5DnstrG4EaoegiTqmWpXShZwALDz4WoF9fLf7WM#C>.
14. Frankel J. "The Pandemic Pain of Emerging Markets." *Project Syndicate*, 2020, July 31, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-will-hit-emerging-and-developing-economies-hardest-by-jeffrey-frankel-2020-07?a_la=english&a_d=5f240c4df2873622d0eb736b&a_m=&a_a=click&a_s=&a_p=%2Farchive&a_li=covid19-will-hit-emerging-and-developing-economies-hardest-by-jeffrey-frankel-2020-07&a_pa=archive-results&a_ps=&a_ms=&a_r=&barrier=accesspaylog>.
15. *Global Financial Stability Report. Bridge to Recovery*. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, October, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/GFSR/2020/October/English/text.ashx>>.
16. Papava V. "Coronomic Crisis: When The Economy... .
17. Georgieva K. "Message from the managing director. In: *A Year Like no Other. IMF Annual Report 2020*. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2020/eng/>>.
18. *Global Policy Agenda. Catalyzing a Resilient Recovery*. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/PP/2020/English/PPEA2020047.ashx>>.
19. *World Economic Outlook. A Long and Difficult Ascent*. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, October, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/WEO/2020/October/English/text.ashx>>.
20. Spence M., Leipziger D. "The Pandemic Public-Debt Dilemma." *Project Syndicate*, 2020, December 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/pandemic-spending-debt-dilemma-by-michael-spence-and-danny-leipziger-2020-12?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=4f0dca62b8-sunday_newsletter_12_13_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4f0dca62b8-93567601&mc_cid=4f0dca62b8&mc_eid=e9fb6cbcc0>.

21. Eichengreen B. "The Debt Dogs that Didn't Bark." *Project Syndicate*, 2020, December 11, <https://www.project-syndicate.org/commentary/poor-countries-debt-challenge-will-grow-in-2021-by-barry-eichengreen-2020-12?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=410831e539-covid_newsletter_12_17_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-410831e539-93567601&mc_cid=410831e539&mc_eid=e9fb6cbcc0>.
22. Basu K. "The Approaching Debt Wave." *Project Syndicate*, 2020, January 31, <https://www.project-syndicate.org/commentary/approaching-debt-crisis-vulnerable-britain-and-india-by-kaushik-basu-2020-01?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=04e46c38d3-sunday_newsletter_12_20_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-04e46c38d3-93567601&mc_cid=04e46c38d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.
23. "Country List Government Debt to GDP." *Trading economics*, 2020, <<https://tradingeconomics.com/country-list/government-debt-to-gdp>>.
24. Ghosh J. "The COVID-19 Debt Deluge." *Project Syndicate*, 2020, March 16, <https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-debt-crisis-by-jayati-ghosh-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=04e46c38d3-sunday_newsletter_12_20_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-04e46c38d3-93567601&mc_cid=04e46c38d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.
25. ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროს საფუძველზე: "World Economic and Financial Surveys. World Economic Outlook Database." *International Monetary Fund*, 2020, October, <<https://www.imf.org/en/Publications/WEO/weo-database/2020/October>>.
26. *Fiscal Monitor. Policies for the Recovery*. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, October, <<https://www.imf.org/-/media/Files/Publications/fiscal-monitor/2020/October/English/text.ashx>>.
27. *World Economic Outlook. A Long and... .*
28. "Data for Georgia, Upper Middle Income." *The World Bank*, 2020, <<https://data.worldbank.org/?locations=GE-XT>>.
29. დიარამა დამუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ავტორთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის ბაზაზე. რაც შეეხება 2020 წლის ინფორმაციას, ის მოიცავს მხოლოდ პირველი ათი თვის მონაცემებს.
30. Papava V. "The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia." In *The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West*. S. F. Starr, S. E. Cornell, eds. Uppsala, The Silk Road Studies Program, Uppsala University, 2005, pp. 90-96, <http://www.silkroadstudies.org/resources/pdf/Monographs/2005_01_MONO_Starr-Cornell_BTC-Pipeline.pdf>.
31. დასკვნა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. თბილისი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020, გვ. 25, <<https://sao.ge/sao.ge/Uploads/2020/12/დასკვნა%202021%20წლის%20სახელმწიფო%20ბიუჯეტის%20კანონპროექტზე.pdf>>.
32. იქვე, გვ. 7.

33. „საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 2011, 1 ივლისი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3>>.
34. “Georgia’s Foreign Debt Is Growing – A Run Down of Who Owes What.” *JAMnews*, 2020, October 15, <<https://jam-news.net/georgia-foreign-debt-economy/>>.
35. Papava V., Charaia V. *The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 132. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2020, <http://papava.info/publications/Papava_Charaia_Coronomic-Crisis-and-Some-Challenges-for-the-Georgian-Economy.pdf>.
36. Papava V. “Georgia’s Economy in a “Tourist Trap”.” *Rondeli Blog*, 2018, July 25, <<https://www.gfsis.org/blog/view/854>>.
37. “Prime Minister Gakharia Unveils Anti-Crisis Plan to Mitigate Coronavirus Fallout.” *Civil.ge*, 2020, April 24, <<https://civil.ge/archives/348469>>.
38. “Georgia’s Foreign Debt Increased by 6.1 bln GEL, Domestic Debt by 1.8 bln GEL.” *Agenda.ge*, 2020, June 9, <<https://agenda.ge/en/news/2020/1798>>.
39. *General Government Debt Management Strategy 2019-2021*. Tbilisi, Ministry of Finance of Georgia, 2019, February, <https://mof.ge/images/File/DMS-ENG-19-21-3-May-2019_Web.pdf>.
40. Gallagher J. “COVID Vaccine: First ‘Milestone’ Vaccine Offers 90% Protection.” *BBC*, 2020, November 10, <https://www.bbc.com/news/health-54873105?fbclid=IwAR0aCzNMjEYLeSWDl1gl-Lr4y-3Kvvd0M2Xb_UM2S4NtV46lFB-BetEXtl>; Gallagher J. “Moderna: Covid Vaccine Shows Nearly 95% Protection.” *BBC*, 2020, November 16, <<https://www.bbc.com/news/health-54902908>>.
41. Mazzucato M., Torreele E. “How to Develop a COVID-19 Vaccine for All.” *Project Syndicate*, 2020, April 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/universal-free-covid19-vaccine-by-mariana-mazzucato-and-els-torreele-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64d8372856-sunday_newsletter_03_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64d8372856-93567601&mc_cid=64d8372856&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.
42. Papava V., 2020d. Is The Vaccine A Panacea? *Eurasia Review*, September 30, <<https://www.eurasiareview.com/30092020-is-the-vaccine-a-panacea-oped/?fbclid=IwAR0A1A6aQRGpC-65fhcjtneRU34HGm920joNgHsnZMIO4raEsLW08l5Jrs>>.
43. Roubini N. “The Coming Greater Depression of the 2020s.” *Project Syndicate*, 2020, April 28, <https://www.project-syndicate.org/commentary/greater-depression-covid19-headwinds-by-nouriel-roubini-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=04e46c38d3-sunday_newsletter_12_20_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-04e46c38d3-93567601&mc_cid=04e46c38d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.